**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**
**დადგენილება №01-05-04/61**

ქ. თბილისი 28 თებერვალი 2020

## 2020 წლის 9 იანვრის გაზეთ „რეზონანსში“საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საბოლოო შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ანზორ აბშილავას მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად 2020 წლის 9 იანვრის გაზეთ „რეზონანსში“ გამოცხადებული კონკურსის საბოლოო შედეგები(იხ. დანართი);
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბეჭდური მედიის საშუალებაში და განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე

ხედვით, აგრეთვე კონკურსანტების მიღწევების და სხვა აქტივობების გათ
ვალისწინებით. ჩატარებული კენჭისყრის შედეგი ასახულია საკონკურსო
კომისიის ოქმში: №1, 19.02.2020 წ.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის ყველა წევრმა, რომლებმაც გამოხატეს კონკურ-
სანტების გელა მაჩაიძის, ნორინგ მოლოდინის და მიხეილ მაჭარაძის მხარ-
დაჭერა პროფესორების თანამდებობის დასაკავებლად.

სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გუჯაბიძემ წინადადება წამოაყენა მიღებული გადა-
წყვეტილების დასამტკიცებლად ღია კენჭისყრის ჩატარების შესახებ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა. მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცებას მხარი დაუჭირა
კომისიის ხუთმა (5) წევრმა.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პრო-
ფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ჩატარებული კონკურსის კენჭისყრის
(ოქმი № 1, 19. 02. 2020) შედეგი კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს:

| № | კონკურსანტის სახელი და გვარი | საგანთა ჯგუფის ნომერი | აკადემიური დატვირთვა, სთ | მოპოვებული ხმების რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მომხრე | წინააღმდეგი |
| 1 | გელა მაჩაიძე | 40 | 400 | 5 | 0 |
| 2 | ნორინგ მოლოდინი | 43 | 400 | 5 | 0 |
| 3 | მიხეილ მაჭარაძე | 44 | 400 | 5 | 0 |

1. წინამდებარე შემაჯამებელი ოქმი გაფორმდეს ორ ეგზემპლიარად. ოქმის ერთი პირი გადაეგზავნოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცელარიას, ადამიანური რესურსების დეპარტამენტისათვის გადასაცემად, ხოლო მეორე პირი საკონკურსო კომისიის უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ სხვა საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცეს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის არქივს.
2. ინფორმაცია კონკურსის საბოლოო შედეგების შესახებ დადგენილ ვადებში გამოქვეყნდეს საინფორმაციო დაფაზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

კომისიის თავმჯდომარე — ირაკლი გუჯაბიძე

კომისიის მდივანი — ნანი ხუნდაძე

კომისიის წევრები: — აკაკი გოჩოლეიშვილი

დარეჯან თევზაძე